თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 2

ქ.თელავი 17. 02. 2021 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, არჩილი თვალიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევან ბერძენაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **ირაკლი სულხანიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი,** მოქალაქე **მაკა მოსიაშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს. ნ. ხვისტანი

2. მიხეილ გრემელაშვილისათვის უფლებამოსილების აღდგენის შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეებისათვის'' სახელწოდების შეცვლის შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის ფორმაში ცვლილების შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** აღნიშნა რომ მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოწერილი საჯარომო ქვითრების, მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება და შესაბამისი წესის მიღება უზრუნველყოფს, ჯარიმების ამოღების ადმინისტრირებას, გარდა ამისა აღნიშნული პროცესი გახდება გამჭვირვალე.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი პროექტის ბიუროს სხდომაზე გატანას.

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი პროექტი, წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: 2. მიხეილ გრემელაშვილისათვის უფლებამოსილების აღდგენის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** აღნიშნა რომ საკრებულოს წევრს, მიხეილ გრემელაშვილს წინასწარი გამოძიების დროს შეფარდებული ღონისძიება პატიმრობა შეეცვალე არასაპატიმრო ღონისძიებით, გირაოთი, რაც არსებული კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს მისთვის უფლებამოსილების აღდგენის საფუძველს.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ უნდა მომზადდეს კომისიის დასკვნა აღნიშნული პროცედურის განხორციელების მიზნით და წარედგინოს ბიუროს სხდომას.

გადაწყვიტეს: საკრებულოს წევრის მიხეილ გრემელაშვილის უფლებამოსილების აღდგენის საკითხი წარედგინოს ბიუროს სხდომას, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში, რიგგარეშედ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება- მწვანეებისათვის'' სახელწოდების შეცვლის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** წარმოადგინა ,,ქართული ოცნება- მწვანეების'' განცხადება ფრაქციისთვის სახელწოდების შეცვლის შესახებ.

წარმოდგენილი მასალებიდან დგინდება რომ ფრაქციის სურვილია ფრაქციას ეწოდოს „ჩვენი თელავი".

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ წინადადებას.

გადაწყვიტეს: მომზადდეს სამართლებრივი აქტის პროექტი, ფრაქციისთვის სახელწოდების შეცვლის შესახებ და წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს: 4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის ფორმაში ცვლილების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** აღნიშნა რომ სასურველია საკრებულოს წევრის ანგარიშის ფორმას დაემატოს, საკრებულოს წევრის სამომავლო გეგმის პუნქტი, რასაც დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

გადაწყვიტეს: საკითხი წარედგინოს ბიუროს სხდომას, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: **ნანა ხვისტანი**